**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

**ხელის-მოწერა** მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა:** დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივი ასოებით სტრიქონზე ცერეთით—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდავი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

მომავალ 1880 წელს

## „დროება"-„ივერიის"

გამოცემაზედ

მომავალ 1880 წლის 1 იანვრიდამ გაზეთი **„დროება"** და ჟურნალი **„ივერია"** შეერთდებიან და იქონიებენ ერთსა-და-იმავე საერთო რედაქციას, რომელიც შესდგება ამ ორივე ჟურნალ-გაზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან.

გაზეთი **„დროება"** გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამომდე, მხოლოთ ფორმატი (თაბახის სივრცე) უფრო დიდი ექნება. ჟურნალი **„ივერია"** კი გამოვა სამს თვეში ერთხელ სივრცით თორმეტი დიდი თაბახი.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში: **„დროების"** რედაქციაში, სოლოლაკზე, ბალის (სადღეის) ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილებანი: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба"-„Иверіи".

**ფასი**

| | | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს. |
|---|---|---|---|---|
| „დროება" და „ივერია" — ერთად | | — 13 მან. | — 7 მან. | — 4 მან |
| ცალკე: | „დროება" — — | — 9 „ | — 5 „ | — 3 „ |
| | „ივერია" — — | — 6 „ | — 4 „ | — 2 „ |

ცალკე ნომერი „დროებისა" ეღირება — 5 კაპეიკი.

— — „ივერიისა" — 2 მანეთი.

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება"-„ივერიისა" { თ. ილ. ჭავჭავაძე. სერ. მესხი.

---

ოთხშაბათს, 5 დეკემბერს

ქართული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება თფილისის საზაფხულო თეატრში:

I

## ქუნწი

კომედია ორს მოქმედებად, თ. გ. ერისთავისა.

II

## ჯერ დაიხოცნენ,

მერე დაქორწილდნენ

კომედია ორს მოქმედებად, რუს. გადმოკეთებული თ. რაფ. ერისთავისაგან.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში და აზნაურთვის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზე.

დაიწყობა $7^1/_2$ საათზე.

(3—3)

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

**ლონდონი,** 1 დეკემბერს. 10,000 ავგანიელი დაეცა გუშინ თავს ინგლისის არტილერიასა და ცხენოსან ჯარს ქაბულის მახლობლად; გაცხარებული ბრძოლა იყო; ავღანელებმა ჯერ ოთხი ზარბაზანი წაართვეს ინგლისის ჯარს, მაგრამ მერე ეს ზარბაზნები ისევ უკან დაიბრუნეს ინგლისელებმა. ინგლისის ღენერალი რობერტსი იწერება, რომ ყველა ადგილობრივი ხალხები ჩვენს წინააღმდეგ შეერთდნენო.

—

**კავკასიის მთებიდამ,** 3 დეკემბერს. მლეთის სტანციიდამ კობამდინ ორი მარხილის გზა გაიწმინდა; სხვა ადგილებზე გზებს სწმენდენ. მოღრუბლული დღეებია და ცოტა თოვლს კიდეცა.

3 დეკემბერს, საღამოს. გზა ყველგან გაკეთებულია; ორი მარხილი (სანი) თავისუფლად დადის.

## საქართველო

**ქალაქის რჩევის სხდომა**

3 დეკემბერს.

გუშინდელი მთელი სხდომაც ჩვენმა ხმოსნებმა მხოლოთ ტალახსა და ნაგავს მოანდომეს.. ქალაქის გასუფთავებაზედ იყო სჯა.

მოგეხსენებათ, გავლილ ორშაბათს რჩევამ გარდაწყვიტა: ა) სახლის პატრონები განთავისუფლებულნი იქმნენ იმ მოვალეობისაგან, რომ თვითონ გაასუფთაონ ტროტუარები, ქუჩები და მაედნები; ამისთვის იმათ ცალკე გარდასახადი შემოიტანონ ქალაქის ხაზინაში და ქალაქის გამგეობა იქმნება ვალდებული, რომ ამ საგანზე თვალ-ყური ეჭიროს; ბ) მიენდოს ქალაქის თავს, ვისთანაც რიგია იშუამდგომლოს, რომ შეაჩერონ განკარგულება, რომლის ძალითაც სახლის პატრონებს პოლიცია ძალას ატანს, სასამართლოში მიჰყავთ და ჯარიმას ახდევინებენ, თუ ისინი ქუჩებს არ გასწმენდენ.

სხდომის გახსნისა-თანავე ქალაქის თავმა გამოაცხადა, რომ იმან ინახულა ვისგანაცა ეს საქმე დამოკიდებულია, პირად უთხრა რჩევის გარდაწყვეტილება, მაგრამ იმის შუამდგომლობა ყურადღებაში არ მიიღეს, როგორც ეტყობოდა, იმიტომ რომ ჩვენ არ გარდაგვიწყვეტია — თუ რამდენ ფულს ვნიშნავთ ამ საგნის (ქალაქის გასუფთავების) სისრულეში მოსაყვანად. ამის გამო დღეს ამ საგანზედ უნდა გვქონდეს სჯაო.

ხმოსანმა **ევანგულოვმა** წარმოსთქვა წინადადება, რომ ამოვარჩიოთ კომისია, რომელსაც მივანდოთ წარმო-

გვიდგინოს თავის აზრი იმაზედ—თუ როგორ, რა საშუალებით უნდა გაიწმინდოს ქუჩები, რამდენი ფული იქნება ამისთვის საჭირო და საიდამ, რომელი წყაროდამ უნდა გამოიღოს ქალაქმა ეს საჭირო ფულები.

ხმოს. ნ ი კ ო ლ ა ძ ე ეთანხმება უფ. მეანგულოვის წინადადებას მხოლოთ იმ პირობით, რომ დღევანდელმა სხდომამ გარდაწყვიტოს—თუ რამდენი ფულის მიცემა შეგვიძლიან ჩვენ ამ საქმისათვის; კომისია კი იმისთვის დავნიშნოთო, რომ ეს ფულები რიგიანად მოახმაროს ქალაქის გასუფთავების საქმეს; თორემ, თუ ახლავე ფული არ დავნიშნეთ და წყარო არ უჩვენეთ, ნუ მოელითო, რომ ადმინისტრაციამ შეაჩეროს სახლის-პატრონების შესახებ თავის სასტიკი განკარგულების მოქმედება.

ხმოს. ზ ა რ ა ფ ო ვ ი წინააღმდეგია ყოველი კომისიისა; ის ამტკიცებს, რომ ბევრი კომისიები დაგვინიშნავსო, მაგრამ სრულიად არა გაურიგებიათ-რაო. ჩემის აზრით ყველას ემჯობინებაო, რომ გადავსწყვიტოთ ესე: ქუჩებისა, ეზოებისა და ტროტუარების გასუფთავება თვითონ სახლის მეპატრონეებმა იკისრონ, რადგან ეს არც თვითონ სახლის მეპატრონეებისათვის და არც წვრილებისათვის არ იქნება საძნელოა; ამათ ერთს ადგილას მოაგროვონ ტალახი და ნაგავი, და გადატანა კი ამ ტალახისა და ნაგავისა ქალაქის გამგეობამ იკისროს ქალაქის ხაზინის საშუალებით. ამისათვის საკმაო იქნება, ამ თავით 10,000 მანეთი დავნიშნოთო.

ხმოს. ხ ა რ ა ზ ო ვ ი საშინელის სურათით აგვიწერს ახლანდელ სიძვირეს და სახლის პატრონების გაჭირებულ მდგომარეობას. ახლა ზამთარი არისო, უიმისოთაც ხალხს სიცივისა და შიმშილისაგან წელი მოწყვეტილი აქვსო, ერთობ მძიმე წელიწადი არისო, ამისთანა დროს რომ სახლის-პატრონებს ახალი გადასახადი დავაწეროთო, დიდი ცოდვა და უსამართლობა იქნებაო..

ხმოს. რ ო ტ ი ნ ი ა ნ ც ი გაცხარებით წამოდგება და წამოიძახებს, რომ ჩვენი სახლის პატრონები ისე ღარიბები არ არიან, როგორც უფ. ხარაზოვი ამტკიცებსო. თუ ქალაქს აქვს საშუალება, რომ რვა კლუბი შეინახოს, თუ ჩვენ ქეიფებში, კარტში და ამისთანა დროს გატარებისათვის ას და ათას მანეთობით ვხარჯავთ წელიწადში, რატომ არ შეგვიძლიან, რომ ჰაერის გასუფთავებისათვისაც ცოტა რამ დავხარჯოთ?! ჰაერი პურზედაც უფრო საჭიროა კაცისათვის, არათუ დროს გატარებაზე და კლუბებზე... სირცხვილია ჩვენთვის!...

ხმოს. ნ ი კ ო ლ ო ძ ე სთხოვს კრებას, ნუ ახლებენ ხელს უძრავი მამულების დაფასების გადასახადისაგან დარჩენილს 1/2%, რომელიც ერთად-ერთი ნუგეში და იმედი არის შემდეგში ქალაქისათვის. ქანონი ნებას არ გვაძლევსო, რომ ამ 1/2%-ზე მეტი გადავახდევინოთ სახლის-მეპატრონეებსა და თუ ამასაც ახლა დავაწერთ და ქუჩების გასუფთავებისათვის დავხარჯავთ, შემდეგში რაღა ვქნათ, როდესაც ქალაქს შეიძლება ბევრი სხვა აუცილებელი საჭიროება აღმოუჩნდება?! საიდამ, რომელი წყაროდამ ვიშოვოთ მაშინ ფულები? ამის გამო ჩემი აზრი ეს არის, რომ, თუ მაინცა-და-მაინც გნებავთ, გადაწყვიტეთ, რომ სახლის-მეპატრონეებს გადახდეს დასაფასებელი ხარჯი 1/2%, მაგრამ ნუ დასდებთ, რომ აქედამ წელიწადში შემოსული 90,000 მანეთი უეჭველად ქალაქის ქუჩების გასუფთავებისათვის დაიხარჯოს. ეს ფული ქალაქის საზოგადო კასსაში შევიდეს და დღეს ერთს საჭიროებაზე დაიხარჯოს, ხვალ მეორეზე — რომელიც აღნიშნულ დროს უფრო აუცილებელი იქნება ქალაქისათვის.

ხმოსანი ჩ ო ლ ა ყ ა შ ვ ი ლ ი უფ. ხარაზოვის წინააღმდეგ ამბობს, რომ, რადგან ეზოებისა და ქუჩების გაწმენდა სახლის-პატრონების მოვალეობა არის,

# ფელეტონი

* * *

ნეტავი ვიყო მეც უგრძნობელი
და სინიდისის მთლად უცნობელი,—
მეც პირუტყულათ ბლავილს ვიწყებდი
და მწუხარებას დავივიწყებდი!

—

მხვდება აქა-იქ ხალხი ამგვარი,
მათი სიცოცხლის ის არს საგანი,
სად ძმა დაღუპონ, ვის ცილი სწამონ
და ანგარებით მათ პური სჭამონ.

—

ის არ იციან მათ უგრძნობელთა,
ქაცობრიობის დამამხობელთა,
„რასაც დასთესენ, მას მოიმკიან“
და თავის-თავსა გესლშია სვრიან...

—

სხვათ ძრახვა უყვართ და თავის ქება,
სხვათ დამდაბლება და თავის გდება,
მაგრამ მით თვითვე დამცირდებიან
და, უგუნურნი, ვერას ხვდებიან.

—

როცა საქმე აქვთ, მხიარულად შეგეყრებიან,
და, როგორც მელა, ფეხის ქვეშა მოგიკვდებიან;
მაგრამ გველურსა იმ ალერსშიც გემუქრებიან
და, მაბეზღარნი, ენის თრევით იკვებებიან.

—

ვიცნობ ზოგთ ქალებს, გაუტანლებს, ამათვე გვარებს,
რომ მათი გული სიწრფელესა ვერ მიიკარებს,
ცხოვრების საგნათ მიაჩნიათ ამხანაგთ გმობა,
ჭორი, ყბედობა, დამცირება, ვესლიანობა!

—

აი რა გვარად ვეჩერებში დროს ატარებენ.
ერთი მეორეს ჯერ ხელ-გაყრით გაატარებენ,
მერე გველურსა იმ თვალებსა გადაავლებენ
და ერთი-ერთის განკიცხვითა გაიხარებენ;

—

პირველი ეტყვის: „— შენაცვალე, არ შეგიტყვია,
„იმ ქალის ქცევა ისე მომხვდა გულს როგორცა ტყვია,
„რა თავისუფლად და თამამად ლაპარაკობდა,
„მხიარულობდა, იმღეროდა და თამაშობდა!“

—

მეორე ეტყვის: „—მოდი, ჩუმათ დაუწყოთ მზერა,
„რაც შევამჩნიოთ, ყველას უთხრათ,— მანდ დადექ შენა,
„თორემ ხო ხედავ, ყველა ეტრფის, ეალერსება,
„ქალით კაცამდინ განურჩევლად თავსაევლება!

—

„ერთი სიტყვითა, რო ვუყურებ, გული მისკდება.
„შენც მომეხმარე, შენი ქმარი ნუ მოგიკვდება,
„და მწუხარებით მთლათ ვკანკალებ, ძვლები მიდნება!..“

—

ჰოჩალ, ქალებო, საქართველოს მადიდებელნო,
მამულის მგმობნო, მამა-პაპათ მაძიებელნო,
ქეთილის მტერნო, ბოროტების მეძიებელნო,
თვის თვალში დვირის შეუმჩნევნო, სხვათ ბეწვთ მძებნელნო!..

ვინც გეგონოთ.

ამის გამო ამისათვის საჭირო ფულიც იმათ უნდა გარდაიხადონ, მთელი ქალაქის მცხოვრებლებს რად უნდა გარდახდესო.

ხმოს. ი ო ნ ე ს ი ა ნ ი ს წინადადებაც იგივეა, რაც უფ. ზარაფოვისა, ე. ი. ეზოები და ქუჩები სახლის მეპატრონეებმა გაასუფთაონ, მოაგროვონ ნაგავი და შემდეგ ეს ნაგავი ქალაქმა გადაიტანოს.

ღამის 11 საათი შეიქნა. ყველა დაიღალა და მოიქანცა მომეტებულის და გაცხარებულის ბაასისა და ლაპარაკისაგან.

ბოლოს თავსმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ამ საგანზედ ბაასი გათავებულად ჩაითვლებაო და რჩევის გარდასაწყვეტად დაადგინა სამი კითხვა-წინადადება: 1) უფ. მევანგულოვისა, 2) იონესიანისა და ზარაფოვისა და 3) იმაზე თუ რამდენი ფული დაინიშნოს ქალაქის გასასუფთავებლად.

კრებამ ერთის ხმის უმეტესობით მიიღო უფ. მევანგულოვის წინადადება, რომ დაინიშნოს კამისია, რომელსაც მიენდოს, თუ შეიძლება, ერთის კვირის განმავლობაში, წარმოადგინოს თავის აზრი იმაზე—თუ როგორ უნდა გასუფთავდეს ქალაქი, რამდენი ფული იქნება საჭირო და საიდამ უნდა აიღოს ქალაქმა ეს ფული.

## დღიური

*** კავკასიის მედიცინის საზოგადოების 1 დეკემბრის სხდომაზედ დოქტორმა კრასნოგლიადოვმა სთქვა, რომ დიფტერიტის ავათმყოფობა თითქმის სრულებით აღარ არის თფილისშიო, ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში აქაურს საავათმყოფოში სულ ორი დიფტერიტიანი ავათმყოფი შემოვიდაო და ისინიც ძალიან მსუბუქად იყვნენ ავათაო.

საზოგადოთ ექიმების აზრი, რამდენათაც ჩვენ ვიცით, ის არის, რომ წელს ჩვენს ქალაქში ნამდვილი დიფტერიტი სრულიადაც არ ყოფილა, იყო მხოლოთ უბრალო, ცოტა გაძლიერებული ყელის-ტკივილი.

*** ჩვენ გვაცნობებენ, რომ უფ. ზ. ჭიჭინაძეს უპოვნია სადღაც ერთი ძველი ხელთ-ნაწერი ქართული ისტორიული წიგნი რომელიც, როგორც ზოგიერთები ამტკიცებენ, „ს ა ვ ა ნ ე გ მ ი რ თ ა“ არისო. საუბედუროთ, ამ წიგნს ბევრი თაბახები აკლიაო. პოემა იწყება ლეონ საქართველოს მსაჯულის ცხოვრების აღწერით ამ სიტყვებით:

„ძმა მათი პატიოსანი ლევან ქართ-
ველთა მსაჯული,
ქვეყნისა და ოჯახისთვის მრავალჯერ
მარჯვედ ტანჯული,
ქართლის წახდენის საქმენი ბევრჯერ
არკვია ხვანჯული
და არ ითქმის ქება სიმდაბლის როგორ
ეჭირა ან რჯული!“

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

### ქვა-გუნდის გაწამაწია.

(წერილი ზემო-იმერეთიდამ)

დღევანდელ „დროების“ №-ში „შავი-ქვის“ მადნების შესახებ კორრესპონდენციაც და წინა-მძღოლელი სტატიაც, როგორც ვგონებ, პირველად ამბობს საქვეყნოდ, ბეჭდით. ამ ახლანდელს შავი-ქვის გაწამაწიაზე იმოდენი ამბავია, რომ სწორედ შვენის სტამბაშიდაც ისახებოდეს, გაზეთსა აჩნდეს ხალხის ხმაურობა და ჩურჩური.

მართლაც, ზემო-იმერეთში, სახელობ სოფლებში: რგანს, ზედა-რგანს, ნავარძეთს, წინ-სოფელს, ჭიათურას, მღვიმეს, შუქრუთს და მომიჯნავე ადგილებში უშველებელი მთები და ველები არის ქვა-გუნდისა (მარგანეცისა). ხალხი უძახის ამ შავ ქვას—ქ ვ ა-გ უ ნ დ ა ს და კიდევაც ხმარობს ძაფის და ნაქსოვების საღებავად შავ-ფერად, ან მოჭირებულ იის-ფრად. ჭიპი ამ ლითონისა ჭიათურა მდინარის სათავეა და მთელი ლელე, რომლის მიდამო კლდეები ბუნებას სულ-მთლად ქვა-გუნდისაგან აუმართავს, რამოდენიმე ვერსტის სივრცეზედ გარშემო ზოგან ყამირად და ზოგან მობნევით ერთიანად ქვა-გუნდით არის იქაურობა გადაშავებული, ისე რომ უმეტესი ნაწილი იქაური ვენახები და ყანები ამ „შავ-მიწაზე“ არის ფესვ-მოკიდებული, თუმც ძალიან მწირად აქვს სარჩო მიწის ნიადაგი მცენარეობას. მცხოვრებლებს ამისთანა შავი, უნაყოფო მიწა ხომ თავის სიღარიბის მიზეზად მიაჩნია და ძალიან გაკვირვებულის სიხარულით უწვდის ხელს ყველა ვაჭარს, ვინც შავი ქვის სამაგიეროდ ხასხასი ქაღალდების ფულს აძლევს და ზედ „ოქროს სიტყვებს“ კიდევ უმატებს სამეროდ.

აქ ახლა ერთი შემტკვლეცება არის ამაზე. შემოესიენ ყოველის მხრით, ზოგი ფეხის ხმის აყოლით, ზოგი დალალობის შესახელებით, ზოგი „შორით მოვლინებულნი“ დასაზვერავად და გამოსალალავად უმცოდინარი ხალხის ხელიდამ საუნჯისა, ისე რომ, არც ბარონი აკლია, არც გრაფი, არც ადვოკატი, არც ნოტარიუსი, არც მეწვრილმანე, არც მესხვილმანე ვაჭარი, არც ურია, არც სომეხი, არც მთას გადაღმელი, არც ზღვაგაღმელი, არც ერთი თემი, არავინ...

და უნდა იცოდეთ, თუ რა ცხო ჩაუდგა ამ შავმა ქვამ სტუმრებსაც და მასპინძლებსაც და რა ნაირი თრთოლით აძიგძიგა „მადნის ცხელებამ“ ყველა მრუდი და მართალი პატრონი და საპატრონე! ზოგმა, თურმე, ფულის სანაცვლოდ პატიოსანი სიტყვა მისცა გულ-მინდობილ გლეხებს და ამით არრასაგან შექმნა დაუთვლელი სიმდიდრის ქონება და იშოვა პ ა ტ რ ო ნ ი ს სახელი!

რომ შეხედოთ, არი გაბმული ცხენი-ცხენზე, ფაიტონი ფაიტონზე საჩხერის გზისაკენ დ. ზესთაფონიდამ (ყვირილიდამ); თუ ინჟენრები, თუ იჯარადრები გადმოტანისა, თუ ვაჭრები, თუ ჩარჩები, თუ მოხუცი, თუ ყმაწვილი მიეშურებიან შავი ქვისაკენ ბრწყინვალე იმედებით აფარფარებულები და უმატებენ ჭორს ჭორზე და მოგონებას მოგონებაზე, რომ ამღვრეულ წყალში ხელში მოიგდონ თვალ-დაბნეული თევზები, მათს ბადეს რომ ვერ დაინახვენ. „მარსელში ფუთი ორ აბაზად ძლივს გადისო და იქ წაღება კი სამ აბაზად დაჯდებაო,—რა სახეირო იქმნებაო; ეს უბრალო შავი-ქვა ყოფილა, რომ გამოუცდიათო და აღარავინ ჰკიდებს ხელსო, მაგრამ... მაგრაა ჩვენ ვიყიდით; რა გაეწყობაო ეგებ იმ საუკუნეში მაინც მოეიხმაროთო და თქვენთვის ხომ უხმარია,—რას უზამთო? ამ მიყრუვებულს, უგზო ქვეყანაში ოქროც რომ იყოს, ვის რად უნდაო, თუ იყიდოს ვინმემ; დიდის თაყვანის ცემით მიეცით და ღმერთს მადლი შესწირეთო გაჰყიდეთ, ნურავის დაათრთხობთ, თვარა, სულ ოხრად დაგირჩებათ,—არავინ მოგეკარებათო“ და სხ.

ამისთანაებით და მსგავსის ოინებით და „შეჩენით“ ვინმე მაშუალებისა და დალალებისა ბევრი გაუპრიყვებიათ, გაუყიდვინებიათ, ან გაყიდვის პირობით დიდი ჯარიმით შეუკრავსთ. ასე აკვარაჭინებენ საქმეებსა ან სხვა ტომის ქამანდში მყოფი, ან თავისს ქამანდში სხვების დამჭერი ჩარჩები თურმე ამ ანდაზის მიხედვით, რომ „საბზელი გეწოდეს, ხელი მაინც მოითბეო“ და ითბობენ ხელს მათგანვე ცეცხლ-მოდებულ საბზელზე. მა მართლაც „დროების კორრესპონდენტის არ იყოს, ოღონდ ტყუილად ფაციცობენ, ფურფუტობენ და რაღაც ფათერაკ-შესამატს ულოდინებენ, თვარა რა არის ეს მარგანეცი,

რისი მაქნისია? რა ფასი აქვს?—არავინ იცის. სანატრელია ძალიან, მცოდნეები მთის მრეწველობის საქმისა და მადნის მეგანგირეები და მეცნიერი გეოლოგოსები და ქიმიკოსები ამ საგანზედ რასმე გარკვეულს, ნათელს ხალხს აცოდინებდნენ ბეჭდვის გზით.

თ. აკ. წერეთელს და ო. ჰაპანაძეს სოფ. ზედა-რგანსა და მღვიმეს შუა მადნის მუშაობაც დაუწყიათ, რამოდენიმე ასი, თუ ათასი ფუთი კიდეც ამოუთხრიათ მიწიდამ და მერე რაღაც მუშაობა შეწყვეტილა. ეს ამბავი უკეთურად წაუხმარიათ მზაკვარ ვაჭრებს, რომ ხალხი დაეფეთებინათ. „არ ივარგა, აღარ გამოდგაო, არაფერი, თურმე, არ შეიქნიო". და თვითო ჩირის ფასად გამოეტყუებინათ ეს ფასოვანი ქვა-გუნდა.

ფასოვანი, მეთქი, მიტომ ვამბობ, რომ მარგანეცი, ან ჩვენებურად ქვა-გუნდა, მოგეხსენებათ ქვეყანაზე ხშირი არ არის და სადაც იპოვება (თუ არ ესპანიაში) უხვად არც იქ მოყვება კაცს ხელში, როგორც მაგალითად ჰარცის მთებში ჰერმანიაში, საშვედოში, და საჭირო კი მეტის-მეტია, როგორც რკინის გაფოლადებისათვის და სღებავად, ისე ერთობ საჭირო წამალია, ნამეტურ ჯარა-ექიმობაში გადახალისებული მარგანეცი და ამასთან დიად საჭმარი მასალა არის სამეცნიერო სინჯვასა და გამოკვლევაში სხვა-და-სხვა სიმეტ-ნაკლით შერთული სხვა-და-სხვა ნივთეულთიან. ფასისას მხოლოდ ამას ვიტყვი, რომ 1870—71 წლებში, მახსოვს, ერთს ცენტნერს (2½ ფუთს) ქვა-გუნდის თირში (марганцовый шпатъ) 12 პრუსიელ ტალლერს იძლეოდა ყველა ჰერმანიის ქალაქებში, სადაც კი მიიტანდნენ გამოჩენილი ფოლადის მექარხნე კრუპპი და კოკერილლიც, მაგალითად ჰამბურგში, საიდამაც მაქვს ეს კერძო ცნობა. აქედამ, როგორც მოგეხსენებთ, გამოდის ბევრად მეტი ფასი „კავკაზისაგან" ნათქვამზე, ფუთზე ახლანდელი კურსით თუ ვიანგარიშებთ, ოთხი მანეთი მეტი იქმნება.

სოფ. რგანს თვითონ მე ვნახე ამ ზაფხულზე ქვა-გუნდის ამოულეველი კლდეები. ეს მადანი მორკინის-ფერო მოტყვიის-ფერო ფერად შავია და ხელში ძალიან მძიმე (წყალზე ერთი-ოთხად უმძიმესი მაინც) და მეტის-მეტად ედება შავად ხელს მოკიდებაზე.

წმინდა მარგანეცის რამოდენი პროცენტის შემცველია ეს ქვა, რასაკვირველია, ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ეს კი საჩინოა, რომ გასტეხ,—მონატეხს თეთრი თოში აყრია რაღაც „მოსისვო-მოლიბროდ მბჭყვინვარე, რომელიც სწორედ გადამდნარი მარგანეცის ხაშურის ფერია. ასე ქიმიურად შემჯნილი მადანი მამჟავეებში (ოქსიგენში) ამოდენად რომ თავს იჩენს, საგულისხმოა, კარგა ხვავიანად უნდა იყოს. რამოდენიც მე სოფ. რგანს შავი მადანი ვნახე, მგონია, ქვა-გუნდის თირი, გოგირდის კაჟის და ქვა-გუნდის წიდა (კონგლომერატი) იყოს და ამასთან, რასაკვირველია, შემჯნილი სხვა-და-სხვა სიმეტ-ნაკლით ნახშირს-მჟავეში და მამჟავეებში ყველა ხარისხებით შერთული ძალიან ბლომად და ბევრგან არის.

ამასთან მოიხსენეთ, რომ მარმარილო, შაბი, ქვა-მარილი, ნავთ-ზეთი და სხ. აუარებელი მადნეულები ბევრს ალაგს არიან დაუნჯებული ზემოდ და ზოგან „მალულ ხმარებაშიდაც"; მაგალ. სოფ. ჭალას, ხრეითს და სხ. მაგრამ ზოგი უმეცრული უმეტეს გაუმხელლობით და მალვით და ზოგი ჩვენებური უნაღვლელობით მიქოლვილი და მიყრუებულია, თუნდ შესამატი არა იყოს-რა.

სწორედ „ოქროს ძირი და ვერცხლის წვერიო", რომ იტყვიან, ჩვენს ქვეყანასა აქვს, თუ რომ მეცნიერის თვალით და გონებით და მამულის-შვილის გრძნობით ან აიხედავს, ან დაიხედავს მისს სამშობლო საგაზრდილოში ნამდვილი სამართლიანი პატრონი და ჩხიკვსა და ყვავს არ აწეწინებს სამამა-პაპო კურთხეულ მიწას გადაშენებულის ნაფუძვარივით...

ნ. ნადიანი.

დ. ზესთაფონი, 30 ნოემბერს.


# განცხადებანი

მომავალ 1880 წლის ხელის-მოწერა გაზეთს

## „კავკაზე"

მიიღება შემდეგის პირობებით:

| | თფ. მიტანით. მან. | კაპ. | სხვა ქალაქებში. მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| ერთის წლით — — — — — | 11 | 50 | 13 | „ |
| ნახევარის წლით — — — — | 6 | „ | 7 | „ |
| სამის თვით — — — — — | 3 | 50 | 4 | „ |
| ერთის თვით — — — — — | 1 | 50 | 1 | 75 |

ხელის-მოწერა მიიღება თფილისში გ ზეთის „კავკაზის" კანტორაში, ბარიატინსკის ქუჩაზე, სახლის № 4.

ქალაქს გარეშე მცხოვრებნი ამ ადრესსით გამოგზავნიან თავიანთ მოთხოვნილებას: Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „Кавказъ". (3—2)

1880 წელს გაზეთის

## „თფილისის მოამბის"

გამოცემაზედ.

მომავალი 1880 წლის 1 იანვრიდამ „თფილისის მოამბე" გამოვა მუდამ დღე ორშაბათობითაც და უქმეების შემდეგ დღეებშიაც, იმავე თანამშრომლების შემწეობით, რომელნიც ახლა იღებენ მონაწილეობას რედაქციაში.

რადგან გაზეთის ნომრების რიცხვი მატულობს, ამის გამო ხელის-მოწერის ფასიც ცოტათი იცვლება: წლიური ფასი გაზეთისა თფილისში (შინ მიტანით) იქნება 12 მანეთი, რუსეთში გაგზავნით—13 მან. და უცხო ქვეყნებში გაგზავნით—18 მან.

| | თფ. მიტანით. მან. | კაპ. | რუსეთში. მან. | კაპ. | ევროპაში. მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით — — — — — — | 12 | „ | 13 | „ | 18 | „ |
| 6 „ — — — — — — | 6 | 50 | 7 | „ | 9 | 50 |
| 4 თვით — — — — — — | 4 | 50 | 5 | „ | 7 | „ |
| 3 „ — — — — — — | 4 | „ | 4 | 50 | 5 | 50 |
| 1 თვით — — — — — — | 1 | 50 | 2 | „ | 2 | 50 |

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესსით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: Въ Тифлисъ, въ редакцію „Тифлисскаго Вѣстника".

თფილისში ხელის-მოწერა რედაქციის კანტორას გარდა (ერევნის მოედანი, სახლის № 3) მიიღება კიდევ ვ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში. (3—2)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Декабръ 1879 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი რედ. ს. მესხი